პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1973 წ.
№ 182
(4952)
15 სექტემბერი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გენადი გიორგაძე — პირველი მსოფლიო ჩემპიონი

კლასიკოსებთანაც ყველაფერი რიგზეა

თეირანში, „ფარახის" სტადიონზე, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ესტაფეტა „კლასიკოსებს" და სამბისტებს გადასცეს. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი ერთბაშად ოთხ ხალიჩაზე ასპარეზობენ.

ტურნირის დაწყების წინ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომმა და ორგანიზატორებმა შეცვალეს გრაფიკი იმ ვარაუდით, რომ ჩემპიონები ორივე სახეობაში ერთ დღეს დაესახელებინათ. მაგრამ ზოგიერთ წონაში გრაფიკი ისევ დაირღვა. ამაში „ბრალი" საბჭოთა სამბისტებს — გენადი გიორგაძესა და მიხეილ იუნაკს მიუძღვით, რომლებიც დროზე ადრე გაუმკლავდნენ მეტოქეებს.

თბილისელი ათლეტი გ. გიორგაძე (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. მუზაშვილი) სამბისტთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ჩემპიონია. ამდენად, მისი გვარი ოქროს ასოებით ჩაიწერა სამბოს ისტორიაში. გიორგაძემ წარმატებით ჩაატარა შეხვედრები 48 კგ წონით კატეგორიაში და ჩემპიონატის დამთავრებამდე მიიღო ოქროს დიდი მედალი.

კარგი მაგალითი მუდამ გადამდებია. მალე სსრ კავშირის გუნდის კიდევ ერთმა წევრმა დაამთავრა ტურნირი ვადამდე. მ. იუნაკმა (ლვოვი) თანმიმდევრულად სძლია ყველა მეტოქეს და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

90 კგ წონით კატეგორიაში საბჭოთა ნაკრების წევრი გ. რუხლიაძევი მოულოდნელად ავად გახდა. სანამ საგონებელში ჩავარდნილი მწვრთნელები გამოსავალს ეძებდნენ, ვიღაცას გაახსენდა, რომ ლევან თედიაშვილი ერთ დროს სამბოთი იყო გატაცებული და წარმატებითაც გამოდიოდა საკავშირო ტურნირებში. გადაწყვეტილება ხელად მომწიფდა: თედიაშვილი სამშობლოსკენ მიმავალ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდს გამოაკლდა და სასწრაფოდ სამბისტთა კოლექტივში ჩაირიცხა.

როდესაც თედიაშვილი პირველად გამოჩნდა სარბიელზე, დარბაზში ტაშმა იქუხა. თეირანის სპორტის მოყვარულებმა იცნეს მსოფლიო ჩემპიონი. თედიაშვილმა აუღელვებლად ჩაატარა პირველი ბრძოლა და წმინდა გამარჯვებას მიაღწია. ამის შემდეგ იგი კიდევ ორჯერ გამოვიდა სარბიელზე და ორივეჯერ შეხვედრა დროზე ადრე მოიგო. მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში სამბისტთა ტურნირის ლიდერი და მთავარი ფავორიტი გახდა.

ამასობაში მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს „კლასიკოსებმაც". სსრ კავშირის ნაკრების ათივე მონაწილე ფინალში გასასვლელად იბრძვის. ზუბკოვმა (48 კგ) უკვე სამი შეხვედრა ჩაატარა და ერთი საჯარიმო ქულით ლიდერობს ასპარეზობას. კონსტანტინოვმა (52 კგ) ერთი ბრძოლა წმინდად მოიგო და სამიც — ქულებით. კაზაკოვს (57 კგ) სამი წმინდა გამარჯვება აქვს. მეოთხე შეხვედრა მან ქულებით წააგო, მაგრამ ლიდერობას მაინც ინარჩუნებს.

მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტმა კავკაევმა (62 კგ) სამი შეხვედრა ქულებით მოიგო. ამ წონაში ასპარეზობას გამოეთიშა მსოფლიოს ჩემპიონი, ბულგარელი მარკოვი. წარმატებით იბრძვიან დანარჩენი საბჭოთა ათლეტებიც, მაგრამ ყველაზე კარგი მდგომარეობა ნისამუტდინოვს (68 კგ) აქვს: 4 შეხვედრა — 4 წმინდა გამარჯვება.

მძიმე წონაში მთავარ ფავორიტად შოთა მორჩილაძე ითვლება, რომელმაც უკვე სამი მეტოქე დაამარცხა წმინდად.

სურათზე: გ. გიორგაძე — პირველი მსოფლიო ჩემპიონი სამბოში.

შეჯიბრების პირველი ნახევარი უკან დარჩა

მ. ჩიგორინის წლევანდელმა საჭადრაკო მემორიალმა სოჭში საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი. ზოგიერთ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ეს ტურნირი ახლახან დამთავრებულ საზონათაშორისო ტურნირებზე ნაკლები რანგისა როდია.

საყოველთაო ინტერესს იწვევს მსოფლიოს ექს-ჩემპიონების, დიდოსტატების ბ. სპასკისა და მ. ტალის სპორტული ფორმა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სპასკი ნელ-ნელა, მაგრამ დაბეჯითებით იბრუნებს საბრძოლო სპორტულ ფორმას. მას ახლა 8-დან 5,5 ქულა აქვს და II ადგილზეა. მაგრამ მთავარი ქულები როდია. მთავარი ისაა, რომ ჰოლანდიისა და ინგლისის შემდეგ სპასკი გაცილებით ენერგიულად თამაშობს. ვფიქრობთ, პრეტენდენტთა მომავალ მატჩებში იგი სასურველ ფორმას მიაღწევს და საშიში მეტოქე იქნება.

ტურნირში ლიდერობა ხელთ იგდო ტალმა. მას 8-დან 6 ქულა აქვს. როგორც ცნობილია, ლენინგრადის საზონათაშორისო ტურნირში ტალმა წარუმატებლად ითამაშა, მაგრამ ეს ალბათ შემთხვევითი მარცხი იყო. ახლა იგი თამაშობს ისე, როგორც ბოლო წლებში თამაშობდა — რისკიან შეტევებს ბრწყინვალედ უთავსებს ბრძოლის ლოგიკას. ტალმა ბევრი შესანიშნავი პარტია ითამაშა, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი ეფექტური გამარჯვება უნგრელ დიდოსტატ საბოსთან.

ლიდერებს კვალდაკვალ მიჰყვებიან 5-5 ქულის მქონე დიდოსტატები სუეტინი, კროგიუსი და ჰოლანდიელი ოსტატი ტიმანი. 21 წლის ოსტატის წარმატება ტურნირის თავისებური სენსაციაა, ოღონდ არა შემთხვევითი. მის პარტიებში ჩანს, რომ ტიმანს შესანიშნავად ესმის დებიუტების თანამედროვე თეორია და კარგად ერკვევა კომბინაციურ გართულებებში.

VI ადგილზეა შვედი დიდოსტატი ანდერსონი. ესეც ახალგაზრდა, ნიჭიერი მოჭადრაკეა, რომელიც ამ ბოლო წლებში დაწინაურდა. ტიმანისგან განსხვავებით, იგი პოზიციურ ბრძოლას ირჩევს და დიდი ხელოვნებით თამაშობს კიდეც. ისევე როგორც ანდერსონს, 4,5 ქულა აქვს ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატს სმეიკალს, თუმცა ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილ მოჭადრაკეს.

ახალი ამბები 73

● **სოჭი, 13 სექტემბერი.** მ. ჩიგორინის საჭადრაკო მემორიალის IX ტურში ყურადღების ცენტრში იყო შეჯიბრების ლიდერ ტალის შეხვედრა ჰენინგსთან (გდრ), დაძაბული ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო. დასამთავრებელი დარჩა რუკავინა (იუგოსლავია) — ხოლმოვის შეხვედრაც, ბალაშოვს (ორივე — სსრ კავშირი) მოგება ჩაეთვალა სპირიდონოვთან (ბულგარეთი), რომელმაც დროს გადააცილა. კორენსკიმ წააგო რაშკოვსკისთან (ორივე — სსრ კავშირი). ყაიმით დამთავრდა სმეიკალ (ჩეხოსლოვაკია) — ტიმანის (ჰოლანდია), ანდერსონ (შვეცია) — სპასკის, სუეტინ — კროგიუსისა (სამივე — სსრ კავშირი) და ფილიპ (ჩეხოსლოვაკია) — საბოს (უნგრეთი) შეხვედრები.

● **პორტოროჟი, 13 სექტემბერი.** სამი დიდოსტატის მატჩ-ტურნირში დღეს მესამე წრე დაიწყო. ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები ე. გელერი და ლ. პოლუგაევსკი. გელერმა, რომელსაც თითქოს ყოველგვარი იმედი გადაწურული ჰქონდა, შესანიშნავად ითამაშა და 33-ე სვლაზე მეტოქე აიძულა დანებებულიყო.

ორი წრის შემდეგ

გასულ ხუთშაბათს პორტოროჟში (იუგოსლავია) გაიმართა სამი დიდოსტატის მატჩ-ტურნირში გადადებული პარტიების დამთავრება. ლ. პორტიშს (უნგრეთი) უნდა განეახლებინა თამაში ე. გელერთან და ლ. პოლუგაევსკისთან (ორივე — სსრ კავშირი) V და VI ტურებიდან გადადებულ პარტიებში.

ჯერ შედგა გელერ—პორტიშის შეხვედრა. საბჭოთა დიდოსტატს ზედმეტი პაიკი და მოგების შანსი ჰქონდა. პორტიშმა მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს. გელერმა დიდი დრო მოანდომა პარტიას, მწვავე ცაიტნოტში აღმოჩნდა და საათზე ალამი ჩამოუვარდა. მას წაგება ჩაეთვალა.

პოლუგაევსკისთან პარტია კვლავ გადაიდო.

ამრიგად, განვლილია მატჩ-ტურნირის პირველი ნახევარი. ლიდერობს პორტიში — 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. პოლუგაევსკის 2 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, გელერს — 0,5 ქულა.

ჩვენი კომენტარი

დიდი ვაჟკაცობა იქნება, რომ გელერმა დარჩენილი ოთხი შეხვედრის მოგება შეძლოს. შემოქმედებითი თვალსაზრისით მას ცუდად არ დაუწყია შეჯიბრება. პორტიშთან გელერს ორივე პარტიაში საუცხოო პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ნახევარ ქულაზე მეტი ვერ აიღო. პოლუგაევსკისთან პირველ პარტიაში იგი მეტოქის სადებიუტო სიახლემ დააბნია, მერე კი ფიქრობდა, აუცილებლად უნდა მოვიგოო. ასეთ დროს პირიქით ხდება.

საინტერესოა პორტიშისა და პოლუგაევსკის სპორტული დუელი.

როგორც იცით, პეტროპოლისის საზონათაშორისო ტურნირის დასკვნით ტურში პოლუგაევსკიმ სძლია პორტიშს და ეს მატჩ-ტურნირიც ამიტომ ტარდება. ახლა პორტიში „სამაგიეროს" უხდის პოლუგაევსკის: პირველი შეხვედრა მოუგო და მეორეც ზედმეტი პაიკით აქვს გადადებული.

უნდა ვიფიქროთ, რომ მატჩ-ტურნირის მეორე ნახევარიც უკიდურესობამდე დაძაბული იქნება.

თ. გიორგაძე.

სურათზე: რუსთავის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრების წევრი ნ. ჩიკვილაძე ვარჯიშის დროს. რ. გაბრიჩიძის ფოტო.

ახალი ამბები-73

● **ჰააგა, 13 სექტემბერი.** აქ მიმდინარეობს ევროპის იუნიორ ფრენბურთელთა ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით გამოდიან საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილები. სსრ კავშირის ჭაბუკთა გუნდმა მოუგო ჯერ პოლონეთის (3:0), შემდეგ კი იტალიის სპორტსმენებს (3:0). ასევე კარგად გამოდიან საბჭოთა ფრენბურთელი გოგონები, რომლებმაც დაამარცხეს მასპინძელთა (3:0) და უნგრელთა (3:0) გუნდები.

● **ორიოლი, 13 სექტემბერი.** სათვითმფრინავო სპორტის ოსტატთა XX საკავშირო პირველობაში ჩემპიონის ოქროს მედლები მოიხვეჭეს ვოროშილოვგრადელმა ლ. მოჩალინამ და კუიბიშეველმა ი. ეგოროვმა. მათ მკაცრად გაანგარიშებულ დროში დაფარეს 170-კილომეტრიანი სამკუთხა მარშრუტი, ამოიცნეს ყველა ნიშანი მოსაბრუნებელ პუნქტებში და ფინიშთან დაუგვიანებლად მივიდნენ.

● **პორტოროჟი, 13 სექტემბერი.** იუგოსლავიის ამ ქალაქში მოწყობილ პარაშუტისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში — „ადრიატიკის თასი" — წარმატებით იასპარეზეს სსრ კავშირის სპორტსმენებმა, რომლებმაც 12 ოქროს, 4 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშდ — ჯანმრთელობისა და სიმხნევის წყარო


ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

კომპლექსი სპორტული მუშაობის საფუძველი უნდა იყოს

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის საპროგრამო და სანორმატივო საფუძველს წარმოადგენს“ — აღნიშნულია ამ კომპლექსის დებულებაში.

ეს ნიშნავს რომ ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის ყველა რგოლში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მშდ კომპლექსის საფუძველზე უნდა გაიშალოს.

მშდ კომპლექსის ნორმატივების მომზადებისა და ჩაბარებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები სპორტულ სკოლებში არსებობს. ბავშვები, რომლებიც სპორტულ სკოლებში რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატურად ვარჯიშობენ და ოსტატობის დონეს იმაღლებენ, თავისუფლად უნდა ძლევდნენ ამ კომპლექსით გათვალისწინებულ ნორმატივებს. მაგრამ, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს ამ მხრივ საქმე რიგზე როდია. სპორტულ სკოლებში მუშაობის პროცესში მწვრთნელებს აქცენტი უმთავრესად მომეცადინეთა სპეციალურ მომზადებაზე გადააქვთ, საერთო ფიზიკურ მომზადებას კი ნაკლები ყურადღება ექცევა. ეს მაშინ, როცა მომავალი სპორტსმენის ოსტატობის საძირკველს სწორედ საერთო ფიზიკური მომზადება წარმოადგენს.

წლეულს ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა კომპლექსური სპორტული სკოლის მოსწავლეების ფიზიკური მომზადების დონე თეთრი წყაროს სპორტულ გამაჯანსაღებელ ბანაკში. ამ შემოწმების შედეგებიდან გამოტანილი დასკვნების გათვალისწინება, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს ბავშვებს შორის მშდ კომპლექსის უკეთ დანერგვას.

შემოწმება, რომელშიც 180-მდე მოჭიდავე, მოკრივე და ველოსიპედისტი მონაწილეობდა, ჩატარდა კომპლექსის I, II და III საფეხურების შემდეგი ნორმატივების მიხედვით: რბენა 30, 60 და 100 მეტრზე, კროსი 1500 მეტრზე, მარშგარბენი 2 და 6 კილომეტრზე, ღერძზე მიზიდვა, ბურთის ტყორცნა და ბირთვის კვრა. ქვემოთ მოგვყავს ამ შემოწმების შედეგები: ღერძზე მიზიდვაში I საფეხურის ნორმატივები მომეცადინეთა 64,2 პროცენტმა ჩააბარა, II საფეხურის ნორმატივები — 73,2 პროცენტმა, III საფეხურისა — 72,7 პროცენტმა.

ბურთის ტყორცნაში პირველი საფეხურის ნორმატივი მომეცადინეთა 60,7 პროცენტმა ჩააბარა, II საფეხურისა — 88,3 პროცენტმა.

ბირთვის კვრაში III საფეხურის ნორმატივი ბანაკში მყოფთა 92 პროცენტმა ჩააბარა.

30 მეტრზე რბენაში (I საფეხური) ნორმატივი მხოლოდ 38,4 პროცენტმა ჩააბარა.

60 მეტრზე რბენაში ამ საფეხურის ნორმატივს ბანაკში მყოფ მოსწავლეთა 21,2 პროცენტი შეწვდა, II საფეხურის ნორმატივს — 50 პროცენტი.

100 მეტრზე რბენაში III საფეხურის ნორმატივი სტარტზე გამოსულთა 19,4 პროცენტმა ჩააბარა.

1500 მეტრზე კროსის სტარტზე I საფეხურის ნორმატივების ჩამბარებლები გამოვიდნენ და ყველამ დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენა. 2 კილომეტრზე მარშგარბენში (II საფეხურის ნორმატივი) კი მხოლოდ 28,4 პროცენტმა ისახელა თავი.

6 კილომეტრზე მარშგარბენის (III საფეხური) ნორმატივი ჩააბარა 78,5 პროცენტმა.

როგორც შემოწმების შედეგებიდან ჩანს, ძალისმიერ ნორმატივებში ჩამბარებელთა დიდი ნაწილი ჩაეტია, სამაგიეროდ ის ნორმატივები, სადაც მეტი სისწრაფე და გამძლეობა იყო საჭირო, ნაკლებმა ჩააბარა. გამონაკლისს შეადგენს კროსი 1500 მეტრზე დროის ჩაუთვლელად (ეს დისტანცია ყველა ბავშვმა დაფარა) და მარშგარბენი 6 კილომეტრზე.

შემოწმების შედეგები მოწმობს, რომ ბავშვებთან სექციური მეცადინეობის პროცესში მთავარი ყურადღება სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას ექცევა. სწორედ ამან განაპირობა წარმატება ძალისმიერ ნორმატივებში, რაც სპეციფიკურია მოჭიდავეებისთვის. სამაგიეროდ ვერ ჩააბარეს ნორმატივები რბენაში, 2 და 6-კმ-ზე მარშგარბენში.

30, 60 და 100 მეტრზე რბენებში მიზანს ძირითადად მოკრივეებმა მიაღწიეს. ასევე, 6 კილომეტრზე მარშგარბენში ნორმატივები უმთავრესად ველოსიპედისტებმა შეასრულეს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შემოწმებულ ბავშვთა თითქმის 80 პროცენტი სპორტულ სკოლაში 2 წელი და მეტია სწავლობს. ეს დრო სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ მეცადინეობის სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, ბავშვებმა მშდ კომპლექსის შესაბამისი საფეხურის ნორმატივები მოამზადონ და ჩააბარონ, მაგრამ კვირეულ ციკლში ზოგად ფიზიკურ მომზადებას საკმარი დრო არ ეთმობა. გარდა ამისა კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად მომზადებისთვის სპეციალური მეცადინეობების ჩატარებაა საჭირო.

ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმასაც, რომ ბავშვებთან ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას კომპლექსი არ უდევს საფუძვლად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად სპორტის ბევრ სახეობაში სასწავლო საწვრთნელი მუშაობის სწორად წარმართვის საშუალებას სამეცადინო ბაზები არ ძლევა.

ვფიქრობთ, ასეთივე მდგომარეობაა სხვა სპორტულ სკოლებში. ამიტომ კარგი იქნება, თუ ასეთი შემოწმება მშდ სხვა სახეობებშიც ჩატარდებოდა. შემოწმების შედეგების გაანალიზება დიდ დახმარებას გაუწევდა ბავშვთა სპორტულ სკოლებში მომუშავე მწვრთნელებს.

ზ. ბუაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,

მ. გეგელია,
თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

რუსთავის სპორტულ ბაზებზე თითქმის ყოველდღე ეწყობა შეჯიბრებები მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. გასულ ხუთშაბათს „მეტალურგის“ სტადიონზე გამოვიდნენ ქალაქის განათლების განყოფილების სპორტული სკოლისა და უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის რუსთავის ჯგუფების აღსაზრდელები, პროგრამაში იყო 100 მეტრზე რბენა, 500 და 1000 მეტრზე კროსი, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა.

სურათებზე: ნორმატივების ჩაბარების მომენტები.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

პაემანი „ცის მეუფესთან“

უზბეკეთის ათმა მთამსვლელმა ჯერ გაუვლელი მარშრუტით — სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან—დაიპყრო მწვერვალი ხან-თენგრი, რომლის სიმაღლეც ზღვის დონიდან 6695 მეტრია.

დღემდე „კლასიკურად“ ითვლებოდა გზა, რომელიც 1931 წელს გაკვალა გ. პოგრებეცკის ექსპედიციამ. ახალი, უფრო რთული გზით, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატის პროგრამაში შედის, მთამსვლელებმა ორჯერ მიიტანეს იერიში. ხან-თენგრის „ცის მეუფეს“ ეძახიან. შარშან იგი არ დანებდა. როცა მწვერვალამდე 700 მეტრი იყო დარჩენილი, სპორტსმენებს გზა გადაუღობა ქარიშხალმა და თოვამ, რაც ასე ხშირია ცენტრალური ტიან-შანის „ზედა იარუსებზე“. წლეულს მთებმა სხვა სიურპრიზი მოუმზადეს მთამსვლელებს: თბილ ამინდში თოვლმა დნობა იწყო. თეთრმა საფარმა მთელი კილომეტრით უკან დაიხია მუდმივი თოვლის საზღვრიდან. ახლა მთამსვლელებს ყოველ ნაბიჯზე დამზღვევი თოკები და კაუჭები სჭირდებოდათ.

ყველაზე დიდი დაბრკოლება სპორტსმენებს მწვერვალამდე სამას მეტრში ელოდათ: ყინულის უზარმაზარ მასას უარყოფითი კუთხე შეექმნა. მაშინ მეკლდეურები დაწინაურდნენ. სამ დღეს უტევდნენ სულ რამდენიმე ათეულ მეტრს ზენურ ლიუმანი და ალექსანდრე პუტინცევი, მათ შედარებით გაუადვილეს ასვლა დანარჩენებს.

მეთექვსმეტე დღეს ჯგუფმა, რომელსაც სპორტის ოსტატი ვ. ვორონინი ხელმძღვანელობდა, მაინც დაიპყრო „ცის მეუფე“. ჯგუფში იყვნენ სპორტის ოსტატები: ბ. ბლოშტეინი, ზ. ლიუმანი, ა. ლიაბინი, ა. პუტინცევი, ხ. იახინი; სპორტის ოსტატობის კანდიდატები: ლ. გრომოვი, ვ. ლუკინი, ვ. ფინკი და ნ. ხორეჩკო.

სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადიმერ რაცეკის აზრით, ეს ასვლა ერთ-ერთი ყველაზე რთულია საბჭოთა მთამსვლელობის ისტორიაში.

ე. ეფიმოვი,
(საკდესის კორ.).

1973

სსრ კავშირის პირველობა

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 12 სექტემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 4:0 (1:0).

„დინამო": გოგია, ებრალიძე, კანთელაძე, ჩელიძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (წერეთელი), გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„ფახთაქორი": პოკატილოვი, ტურგუნოვი (იაფაროვი), შტერნი, ბასოვი, გოლიკოვი, ივანოვი, ვარიუხინი, ფიოდოროვი, აბდურაიმოვი, ლისაკოვსკი (ხოძიპანაგიხი), ანი.

მსაჯი ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

დუბლიორები — 2:1 „დინამოს" სასარგებლოდ.

ოთხი ბურთი „ფახთაქორის" კარში

ზუსტად ერთი თვე გავიდა, რაც თბილისელ ფეხბურთის მოყვარულებს თავიანთ მინდორზე არ უნახავთ დინამოელები. ამ ხნის მანძილზე „დინამომ" ესპანეთში მგზავრობა მოასწრო საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, შინ ჩამოიტანა ძვირფასი პრიზი, მაგრამ დროის ამავე მონაკვეთში საკავშირო ჩემპიონატის 2 მატჩი წააგო ვოროშილოვგრადსა და კიევში, რის შედეგადაც სატურნირო ცხრილში X ადგილამდე ჩამოქვეითდა. დღის წესრიგში სრული სიმწვავით დადგა საკითხი შექმნილი მდგომარეობის სასწრაფო გამოსწორებისა. კერძოდ, „ფახთაქორთან" გამარჯვებას თბილისელები რამდენიმე ადგილით წინ გადაჰყავდა.

მატჩის პირველივე 10-15 წუთში ნათელი შეიქნა, რომ ტაშკენტელები ვერ უმკლავდებოდნენ მასპინძელთა ხშირ იერიშებს. მათ გამოცდილი ტურგუნოვი პერსონალურად მიამაგრეს გუცაევს, მაგრამ „ფახთაქორის" მცველი სისწრაფეში საგრძნობლად ჩამორჩებოდა თავის უშუალო მეტოქეს, რაც გუცაევს საშუალებას უქმნიდა ხელთ აეღო ინიციატივა და სისტემატურად ეწარმოებინა სწრაფი იერიშები. მას კარგად ეხმარებოდა გავაშელი, რომელმაც კვლავ დაიკავა ადგილი ნახევარდაცვაში, შეტევას ხშირად და უნარიანად ერთვოდა ებრალიძეც და მარჯვენა ფლანგი მთლიანად დინამოელთა განკარგულებაში აღმოჩნდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ აბდურაიმოვისა და ვარიუხინის ორიოდე საკმაოდ სახიფათო გარღვევას, თამაში უმთავრესად სტუმრების ნახევარზე მიმდინარეობდა.

მაგრამ გადიოდა დრო, ტაიმი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, გოლი კი არ ჩანდა. საერთო უპირატესობას არ ჰქონდა შესაბამისი ფინალი. ასეთ სიტუაციაში საბედისწერო აღმოჩნდა ტაშკენტელთა მეკარის პოკატილოვის წამიერი უყურადღებობა და მისმა აშკარა შეცდომამ საშუალება მისცა „დინამოს" დაწინაურებულიყო. ეს საკმაოდ კურიოზულ ვითარებაში მოხდა 37-ე წუთზე: პოკატილოვმა, რომელიც საჯარიმო მოედნის ხაზზე იმყოფებოდა, ხელით შეიყვანა ბურთი თამაშში და ზედ ფეხზე „დაუსვა" იგი გუცაევს. გუცაევმა შორი მანძილიდან ზუსტად დაარტყა და როცა პოკატილოვი უკან დაუბრუნდა თავის ადგილს, ბურთი უკვე ბადეში იყო გახვეული — 1:0.

მთელი სიძლიერით და, რაც მთავარია, ტაქტიკურად გააზრებულად, მოწინააღმდეგე მხარის სუსტი ადგილების გათვალისწინებით ითამაშეს დინამოელებმა მეორე ნახევარში. 53-ე წუთზე ასათიანმა საჯარიმო დარტყმა გაითამაშა გუცაევთან, დაუცველ ადგილზე გაიყვანა იგი და პოკატილოვს მეორე ბურთის გამოტანა მოუხდა ბადიდან — 2:0.

მატჩის მოგება ამის შემდეგ რეალობად იქცა და თბილისელებმაც უფრო დამაჯერებლად, მეტი სიზუსტით განაგრძეს იერიშები. 67-ე წუთზე გ. ნოდიას მიერ მოწოდებული ბურთი მშვიდად გაგზავნა „ფახთაქორის" კარში გავაშელმა, ორიოდე წუთის შემდეგ კი გ. ნოდიასთან გათამაშებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა ასათიანმა — 4:0.

რ. ქორიძე.

• • •

მკითხველი, ალბათ, დაინტერესდება, თუ რატომ არ თამაშობდნენ ამ დღეს გუნდის ძირითადი წევრები ხურცილავა, ყიფიანი, ძოძუაშვილი. პირველი ორი მინდორზე ვერ გამოვიდა ტრავმების გამო, ხოლო რაც შეეხება რ. ძოძუაშვილს, მან დაარღვია სპორტული რეჟიმი და ამიტომ გუნდის ხელმძღვანელობა იძულებული იყო არ გამოეყვანა იგი თამაშზე.

• • •

სურათზე: პირველი ბურთი „ფახთაქორის" კარში. ტაშკენტელთა მეკარე ს. პოკატილოვმა ვერ მიუსწრო ვ. გუცაევის დარტყმას.

მ. ზარგარიანის ფოტო.

„ლოკომოტივის"
სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი

15 სექტემბერი

უმაღლესი ლიგა

სსრ კავშირის
პირველობა
„დინამო" (თბილისი) —
„დინამო" (მინსკი)
(ძირითადი შემადგენლობანი)
დასაწყისი 18 ს.

ბილეთების საერთო გაყიდვა — 15 სექტემბერს 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 სექტემბრისთვის

	თ.	მ.ძ.	მ.პ.	წ.	ბ.	ქ.
„არარატი" (ერევანი)	23	13	2	8	61—42(41—21)	28
„დინამო" (კიევი)	23	12	3	8	69—51(36—19)	27
„შახტიორი" (დონეცკი)	23	11	3	9	47—45(24—21)	25
„დინამო" (მოსკოვი)	22	9	5	8	63—51(31—22)	23
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	23	8	7	8	66—57(29—29)	23
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	23	11	0	12	39—34(29—18)	22
„დინამო" (თბილისი)	23	8	5	10	57—49(26—23)	21
„სპარტაკი" (მოსკოვი)	22	9	3	10	56—52(27—24)	21
ცსკა	23	8	5	10	64—65(27—29)	21
„კაირატი" (ალმა-ათა)	23	8	5	10	49—55(23—33)	21
„ზენიტი" (ლენინგრადი)	23	7	3	13	73—72(27—23)	17
„ტორპედო" (მოსკოვი)	23	8	0	15	43—55(24—28)	16
„ფახთაქორი" (ტაშკენტი)	23	6	1	16	46—60(28—36)	13
„დინამო" (მინსკი)	23	5	3	15	62—72(17—26)	13
ასკ (დონის როსტოვი)	23	3	5	15	60—74(15—30)	11
„კარპატი" (ლვოვი)	23	4	3	16	43—64(22—44)	11

II ლიგა IV ზონა

13 სექტემბერს შედგა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ ამ მატჩების შესახებ:

„კოლხეთი" (ფოთი) — „სპარტაკი" (რიაზანი)

1:0

ფოთელმა ფეხბურთელებმა სტუმრად ძალიან ცუდად ითამაშეს და ბოლო 5 მატჩში 10 ქულა დაკარგეს. ამ სიძნელეებს ისიც დაემატა, რომ განვლილ შეხვედრაში მათ ავადმყოფობის გამო აკლდათ 5 წამყვანი მოთამაშე.

ასეთ ვითარებაში გუნდს ძალიან გაუჭირდა წარმატების მოპოვება. მთელი ტაიმის განმავლობაში ბურთი შუა მინდორში ტრიალებდა. მხოლოდ ჯაიანსა და გუდავაძეს შეექმნათ ხელსაყრელი მომენტები და მაყურებელი 45 წუთის მანძილზე უფერული, უინტერესო თამაშის მოწმე იყო.

შედარებით გამოცოცხლდა ბრძოლა შესვენების შემდეგ. უკვე დასაწყისშივე გათამაშდა კომბინაცია: ცაავა-არზიანი-გუდავაძე-კვარაცხელია. გოლი თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ სპარტაკელთა მცველმა პლიუხოვმა ბოლო მომენტში მიუსწრო ბურთს კარის ხაზზე.

65-ე წუთზე, „კოლხეთის" ერთ-ერთი იერიშისას, გუდავაძემ სტუმართა საჯარიმო მოედანზე მომხდარი არეულობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა — 1:0. სპარტაკელებმა დაუყოვნებლივ სცადეს მდგომარეობის გამოსწორება. მათ რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ ფოთელთა მეკარე იორამაშვილი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

„კოლხეთმა" შეინარჩუნა გამარჯვება მინიმალური ანგარიშით. აღსანიშნავია ფილიას, გუდავაძის, იორამაშვილის, ცაავას კარგი თამაში.

გ. გასილაია.

„დილა" (გორი) — „ლოკომოტივი" (კალუგა) 1:2

მიმდინარე გათამაშების ერთ პერიოდში გორის „დილას" საუკეთესო სატურნირო მდგომარეობა ჰქონდა. მონდომებული, ენერგიული, კვალიფიციური თამაშის შემდეგ იგი ლიდერთა ჯგუფში იყო და საუკეთესო პერსპექტივებიც გააჩნდა, მაგრამ მოულოდნელად დადგა ხანგრძლივი, მძიმე კრიზისის პერიოდი. გუნდმა ზედიზედ 6 მატჩი წააგო, რის შედეგადაც ცხრილის სათავიდან აუტსაიდერთა რიგებში გადაინაცვლა.

გორელ მაყურებლებს იმედი ჰქონდათ, რომ გუნდი ახლა, საკუთარ მინდორზე მაინც იბრძოლებდა რეაბილიტაციისთვის, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. „დილამ" კვლავ სუსტად, უსისტემოდ ითამაშა. მისი არც ერთი რგოლი, თითქმის არც ერთი მოთამაშე არ იდგა სათანადო სიმაღლეზე და სტუმრებს არსებითად არ გასჭირვებიათ 2 ქულის აღება.

მატჩის მე-5 წუთზე მიდლიევის დარტყმამ მიზანს მიაღწია და ამ წარმატების შემდეგ „ლოკომოტივმა" საფუძვლიანად გაამაგრა თავისი დაცვის ხაზები. მასპინძელთა ქაოსურ, უგეგმო იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია.

როგორც კი მეორე ტაიმში თამაში განახლდა, მოროზოვმა სწრაფად აუარა გვერდი „დილის" მცველებს და მეორე გოლი გაიტანა მასპინძელთა კარში — 2:0.

ერთადერთი, რაც გორელებმა შეძლეს, იყო ცირეკიძის მიერ 72-ე წუთზე გატანილი საპასუხო გოლი. „დილამ" ზედიზედ მეშვიდედ წააგო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობა საგანგებო ზომებს მიმართავს მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებისთვის.

ი. თევდორაშვილი.

ჩემპიონატის არითმეტიკა

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ სპორტის ეს სახეობა დიდად პოპულარულია ევროპის, აზიისა და ამერიკის ბევრ ქვეყანაში. წლევანდელ ტურნირში, ოლიმპიური თამაშების მსგავსად, მხედველობაში მიიღებოდა ექვსი საუკეთესო შედეგი და საერთო გუნდური მაჩვენებლებიც ამ შედეგების გათვალისწინებით გამოჰყავდათ.

აი, როგორია ჩემპიონატის საბოლოო გუნდური ცხრილი და რომელმა ქვეყანამ რამდენი საპრიზო ადგილი დაიკავა:

	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	IV	V	VI
სსრ კავშირი	6	3	1	0	0	0
ირანი	3	0	1	0	3	0
ბულგარეთი	0	2	2	3	0	0
მონგოლეთი	0	1	1	2	1	1
აშშ	1	0	1	2	0	0
გდრ	0	2	0	0	0	0
უნგრეთი	0	1	2	0	0	0
რუმინეთი	0	1	0	0	1	0
იაპონია	0	0	1	0	1	2
შვეცია	0	0	1	0	0	0
კსდრ	0	0	0	1	1	0
თურქეთი	0	0	0	2	1	2
გფრ	0	0	0	0	2	0
პოლონეთი	0	0	0	0	0	2
ჩეხოსლოვაკია	0	0	0	0	0	1
სამხრ. კორეა	0	0	0	0	0	1

იმის გასარკვევად, თუ რამდენად კანონზომიერია სსრ კავშირის მოჭიდავეთა წარმატება, გადავხედოთ ბოლო ორი წლის ტურნირებს, უმთავრესად მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებს (1972 წ) და სოფიის მსოფლიო ჩემპიონატს (1971 წ). მიუნხენში საბჭოთა ათლეტებმა 5 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მიიღეს. გუნდურ ჩათვლაში მათ საგრძნობლად გაუსწრეს აშშ-ს წარმომადგენლებს, რომლებსაც 3 ოქროს, 2-2 ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდო ჰქონდათ.

სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდური გამარჯვება მოიპოვა ერთი წლით ადრეც, სოფიის მსოფლიო ჩემპიონატში (5, 1, 1), ოღონდ მაშინ II ადგილზე გავიდნენ არა ამერიკელები, არამედ ბულგარელი ათლეტები. როგორც ხედავთ, ბოლო წლებში საბჭოთა მოჭიდავეები მტკიცედ ლიდერობენ და თეირანის ტრიუმფიც სავსებით კანონზომიერი, ლოგიკური ფინალი იყო ამ დიდი უპირატესობისა.

ირანელი მოჭიდავეების II ადგილი თეირანის სარბიელზე ასევე გასაგებია. ამ ქვეყნის ეროვნულმა ფედერაციამ მწვავედ განიცადა მიუნხენის მარცხი (ოლიმპიურ თამაშებში ირანმა მხოლოდ 1 ბრინჯაოს მედალი მიიღო). მთელი მუშაობა ამ ნაკლის გამოსწორებას მოანდომა და, როგორც ხედავთ, მიაღწია კიდეც მიზანს.

ბულგარელებმა შედარებით დათმეს პოზიცია. მათ, მართალია, გუნდურ ჩათვლაში III ადგილი დაისაკუთრეს, რაც ასეთი დიდი მასშტაბის ტურნირისთვის ურიგო მაჩვენებელი როდია, მაგრამ არც ერთი ჩემპიონი არ ჰყავთ. სამაგიეროდ, შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე აუმჯობესებენ შედეგებს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები. თუ მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში ამ ქვეყნის მაჩვენებელი ერთობ მოკრძალებული იყო, თეირანში იგი IV ადგილზე გავიდა, თანაც უკან ჩამოიტოვა დიდი საჭიდაო ტრადიციების მქონე ქვეყნები აშშ, იაპონია და თურქეთი.

გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა სიას:

48 კგ. 1. დმიტრიევი (სსრ კავშირი), 2. ისოვი (ბულგარეთი), 3. ეხჯუვანი (მონგოლეთი).

52 კგ. 1. ჯავადი (ირანი), 2. ალახვერდიევი (სსრ კავშირი), 3. ტაკუდო (იაპონია).

57 კგ. 1. ფარახფაში (ირანი), 2. ხოილოვდორჯი (მონგოლეთი), 3. იუმინი (სსრ კავშირი).

62 კგ. 1. აბდულბეკოვი (სსრ კავშირი), 2. შტერი (გდრ), 3. ნავაი (ირანი).

68 კგ. 1. კიზერი (აშშ), 2. ნასრულაევი (სსრ კავშირი), 3. კოჩიში (უნგრეთი).

74 კგ. 1. ბერზერაგი (ირანი), 2. აშურალიევი (სსრ კავშირი), 3. კარლსონი (შვეცია).

82 კგ. 1. სიულჟინი (სსრ კავშირი), 2. იორგა (რუმინეთი), 3. აბილოვი (ბულგარეთი).

90 კგ. 1. თედიაშვილი (სსრ კავშირი), 2. შტოტმაისტერი (გდრ), 3. პეტერსონი (აშშ).

100 კგ. 1. იარიგინი (სსრ კავშირი), 2. ჩატარი (უნგრეთი), 3. ნეკოვი (ბულგარეთი).

მძიმე. 1. ანდიევი (სსრ კავშირი), 2. ბაევი (ბულგარეთი), 3. შიმონი (უნგრეთი).

გუნდური ადგილები. 1. სსრ კავშირი — 55 ქულა, 2. ირანი — 28, 3. ბულგარეთი — 29, 4. მონგოლეთი — 18, 5. აშშ — 16, 6. რუმინეთი — 12.

ოლიმპიადებში და მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებული ძალოსანი თავის აზრს გვიზიარებს

იქნებ ისევ საჭიროდ სჩობდეს?

დღეს ჰავანაში იწყება ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც 23 სექტემბრამდე გასტანს. ჩემთვის, როგორც ძალოსნობის ვეტერანისთვის, სასიამოვნოა, რომ ჩვენი სახეობა სულ უფრო პოპულარული ხდება. ამას ისიც მოწმობს, რომ შეჯიბრებაში თითქმის 50 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობენ. ეს თავისებური რეკორდია.

ძალიან სასიამოვნოა ეს, მაგრამ გულახდილად გეტყვით, ამ სიხარულს რაღაც მაინც აკლებს ფასს. მსოფლიო ჩემპიონატი პირველად ტარდება ორჭიდში, აჭიმვა ამოღებულია პროგრამიდან. ჩემი აზრით, ეს სადავო პრობლემაა. მე შემიძლია ორი სიტყვა ვთქვა ამის თაობაზე, მაგრამ ეს შემდეგ. ახლა გაგაცნობთ საბჭოთა ნაკრებს და მის მთავარ მეტოქეებს.

საბჭოთა გუნდიდან ჰავანის ფიცარნაგზე პირველი გამოვა 36 წლის თბილისელი ძალოსანი დიტო შანიძე (ქვემსუბუქი წონა). იგი მზადაა შეუპოვარი ბრძოლა გაუმართოს მიუნჰენის ოლიმპიურ ჩემპიონს, ბულგარელ ნ. ნურიკიანსაც და მსოფლიო ჩემპიონს, იაპონელ ი. მიიაკესაც.

მსუბუქ წონაში ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოველი მ. კირჟინოვი, რასაკვირველია, ეცდება არავის დაუთმოს საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური, მაგრამ გამარჯვების იმედი არც ბულგარელ მ. კუჩევს აქვს დაკარგული.

შემდეგ წონით კატეგორიაში — ქვესაშუალოში — დღესდღეობით ბადალი არა ჰყავთ ბულგარელ ათლეტებს ი. ბიკოვს და ნ. კოლევს. დანარჩენები, მათ შორის ვოროშილოვგრადელი ვ. მიხაილოვიც, ალბათ მხოლოდ ბრინჯაოსთვის იბრძოლებენ.

საშუალო წონაში ჯერჯერობით მტკიცედ ლიდერობენ საბჭოთა სპორტსმენები, რომელთა ღირსებასაც კუბის დედაქალაქში ახალგაზრდა მოსკოველი ძალოსანი ვ. რიძენკოვი დაიცავს. ახლახან მისი დებიუტი მადრიდში, ევროპის პირველობაში, გამარჯვებით დამთავრდა. მართალია, ჰავანაში რიძენკოვის ამოცანა უფრო რთული იქნება, თუ ბიკოვი საშუალო წონაში გადავა.

დიდი პერსპექტივები აქვთ ქვემძიმე წონის საბჭოთა ათლეტებსაც — შახტელ დ. რიგერტს და პერვოურალსკელ ვ. კოლოტოვს. ჯერჯერობით არც ლენინგრადელ გოლიათს ბ. პერვუშინს ჰყავს სერიოზული მეტოქე მძიმე წონაში.

ჩემი აზრით, ზემძიმე წონაში ჩვენს ვ. ალექსეევს ბელგიელი ს. რედინგი, გფრ-ის წარმომადგენელი რ. მანგი და ფინელი კ. ლაჰდენრანტა მხოლოდ ატაცში გაუწევენ მეტოქეობას. მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი აკვრაში მათზე ბევრად ძლიერია და ბრძოლის ბედს ალბათ ეს გადაწყვეტს.

თქვენ უკვე მიაქცევდით ყურადღებას, რომ ბულგარელი ათლეტები რამდენიმეჯერ ვახსენე. ბულგარეთის ახალგაზრდული გუნდი, რომელიც საოცრად სწრაფად მიიწევს წინ, საერთო პირველობას შეეცილება საბჭოთა ნაკრებს. ჩვენი ძალოსნები გამარჯვებას მოიპოვებენ, თუ ყველა მათგანი წარმატებით გამოვა და შეჯიბრებას ნულების გარეშე დაამთავრებს, რასაც, სამწუხაროდ, საბჭოთა გუნდი ბოლო წლებში იშვიათად ახერხებს.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის გუნდები ბევრად ძლიერნი არიან სხვა მონაწილეებზე და დღეს მათს ბრძოლაში ალბათ ვერავინ ჩაერევა.

ახლა კი დავუბრუნდეთ ჩემთვის მტკივნეულ საკითხს — პროგრამიდან აჭიმვის ამოღებას. ეს დაახლოებით ერთი წლის ამბავია. პირდაპირ გეტყვით, მე არ ვიყავი ამ სიახლის მომხრეთა შორის.

ამ ერთი წლის მანძილზე ჩატარებული შეჯიბრებიდან უკვე შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება. ძალოსანთა ტურნირები ახლა უფრო ხანმოკლეა, მაგრამ არც მიმზიდველობა მომატებია ამით, არც დინამიკურობა, არც მაყურებელს გამოუჩენია უწინდელზე მეტი დაინტერესება. იმასაც ფიქრობდნენ, ყველაზე მეტი ნული აჭიმვაში იწერებაო, მაგრამ, თუ საკავშირო ტურნირების მიხედვით ვიმსჯელებთ, მდგომარეობა ბევრად არ გამოსწორებულა: ნულების რიცხვი 20-30 პროცენტს აღწევს.

კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი: რეკორდების რიცხვმა ორჯერ და მეტადაც იკლო.

რამდენიმე სიტყვა თვითონ ათლეტებზე: სამჭიდი მათ ჰარმონიულად უვითარებდა ხელ-ფეხისა და ზურგის კუნთებს. ახლა ერთგვარი „დისჰარმონია“ შეიმჩნევა: ფეხის კუნთები ძალიან ვითარდება, მხრის სარტყელი და ხელები — ნაკლებად. თანდათანობით ეს ძალოსნების აღნაგობაზეც ახდენს გავლენას.

აჭიმვის აკრძალვისას პირველ ყოვლისა იმის იმედი ჰქონდათ, სპორტსმენები ნაკლებად დაშავდებიანო, მაგრამ არც ეს ვარაუდი გამართლდა.

ამ ძალისმიერი მოძრაობის მოწინააღმდეგეებს ერთ-ერთ მთავარ საბუთად მსაჯობის გართულება მოჰყავდათ. მართლაც, ბოლო წლებში აჭიმვა უფრო დინამიკური გახდა და სპორტსმენები ამ მოძრაობის დროს მარტო მხრის სარტყელის კუნთებს როდი იყენებდნენ, თუმცა წესები ამას მოითხოვდა. მაგრამ მსაჯობაში კრიზისს სულ სხვა მიზეზი ჰქონდა: არბიტრები, ისევე როგორც 30-40 წლის უკან, მხოლოდ თვალით ზომავდნენ ყველაფერს, თუმცა დღეს სულ ადვილად შეიძლება დავიხმაროთ უკვე დამუშავებული და არც ძვირად ღირებული ელექტრონული აპარატურა, მაგალითად, ვიდეომაგნიტოფონი.

კონსერვატორად და სიახლეთა მტრად ნუ მიმიღებთ. მაგრამ საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება მე არ მომწონს. ამით ძალოსნობას მოაკლდა აშკარად გამოკვეთილი ძალისმიერი ვარჯიში, რომელიც მის საფუძველს შეადგენდა. ამ გადაწყვეტილების სისწორე ჯერჯერობით პრაქტიკამ ვერ დაადასტურა.

მე ამ საკითხზე ველაპარაკე ვეტერანებს — ძალოსნებს კუცენკოს, ნოვაკს, ვლასოვს. ყველას მიაჩნია, რომ აჭიმვის გარეშე ძალოსნობა ძალოსნობას არ ჰგავს.

იქნებ ერთი წელი ცოტაა საბოლოო დასკვნების გამოტანისთვის? საჭიროა ფაქტიური მონაცემების დაგროვება და მათი გულმოდგინე მეცნიერული ანალიზი. არ შეიძლება აჭიმვას საბოლოოდ გადავუსვათ ხაზი. ჩემი აზრით, რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ უნდა დავუბრუნდეთ ამ საკითხს.

ა. ვორობიოვი,
სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური კომიტეტის წევრი.

სპეციალისტი მოგვითხრობს



ბელორუსიის გუნდი პირველია

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ველოსპორტში ბელორუსიის სპორტსმენთა დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა. გუნდმა საერთო ჩათვლაში 258 ქულა მოიპოვა და მთელი 37 ქულით გაუსწრო II ადგილზე გასულ უკრაინის კოლექტივს. III ადგილი რუსეთის ფედერაციის ნაკრებს ხვდა — 200 ქულა. საქართველოს ველოსიპედისტებმა 62 ქულა მოაგროვეს და საერთო გუნდურ ჩათვლაში VI ადგილზე არიან.

ბელორუსიის ველოსიპედისტთა წარმატება შემთხვევითი არ არის. ამ რესპუბლიკის სპორტსმენები პროგრამის ყველა სახეობაში თანაბრად გამოდიოდნენ. ჩემპიონატის ბოლო დღეს 3 სახეობაში ჩატარდა შეჯიბრება და ბელორუსიის გუნდს სამივეში ჰყავდა პრიზიორი.

თბილისის ტრეკზე საინტერესო იყო ჯგუფური რბოლა 100 წრეზე 33 საშუალედო ფინიშით.

პირველობისთვის 30 მონაწილე იბრძოდა. თანდათან გამოიკვეთა უკრაინის გუნდის წევრის ს. იგოროვის უპირატესობა. მან ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა და ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა. ბელორუსიელი ს. სმირნოვი II ადგილზე გავიდა.

III საპრიზო ადგილისთვის რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ა. არტიომოვი და თბილისელი ვ. ფეტისოვი იბრძოდნენ. მათი დავა ბოლო ფინიშმა გადაწყვიტა. საკონტროლო ხაზი პირველმა ა. არტიომოვმა გადაკვეთა. ფეტისოვი მეორე იყო. საბოლოო ჯამში ორივემ თანაბარი ქულები დააგროვა, მაგრამ უპირატესობა მიეკუთვნა არტიომოვს, რომელმაც ბოლო ფინიში მოიგო.

ტანდემისტთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მოსკოველმა ველოსიპედისტებმა ა. ვორონინმა და ნ. საპრიკინმა. ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სემენეცი და მისი მეწყვილე ბ. ტამულიანისი (უკრაინა) II ადგილზე აღმოჩნდნენ. ბრინჯაოს მედლები ბელორუსიელთა წყვილს (ა. ვდოვინი — ი. სელემჩუკი) ერგო.

სელემჩუკების ჯვარს კიდევ ერთი, ამჯერად ვერცხლის მედალი ერგო: გ. სელემჩუკი 60 წრეზე ქალთა ჯგუფურ რბოლაში გამარჯვებულ ლ. პეტროვას (უკრაინა) ოდნავ ჩამორჩა. ამ სახეობაში მესამე იყო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი თ. გარკუშინა (რსფსრ).

• • • •

სურათებზე: ჯგუფური რბოლის მონაწილენი დისტანციაზე; ტანდემისტთა ფინალური რბოლის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

აქტიურ ჭადრაკს უბრუნდება

ამერიკის გაზეთებში გამოჩნდა ცნობა, რომ მსოფლიო ჩემპიონმა რ. ფიშერმა გადაწყვიტა დაუბრუნდეს აქტიურ საჭადრაკო მოღვაწეობას. ბ. სპასკისთან მატჩის შემდეგ იგი ისვენებდა.

მსოფლიო ჩემპიონმა თავის ადვოკატს რეიდერს დაავალა ევროპაში შეხვედრების ორგანიზაცია. რეიდერს განზრახული აქვს ჩავიდეს შვეციაში, სადაც 25 სექტემბერს მუშაობას იწყებს ფიდე-ს მორიგი კონგრესი, და იქ ევროპის ქვეყნების დელეგატებს მოელაპარაკოს ამის თაობაზე.

აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციის თავკაცმა ე. ედმონდსონმა თქვა, რომ ფიშერი ჯანმრთელად და ხალისიანად გრძნობს თავს, რადგან მშვენივრად დაისვენა. ფიშერს სურს ეწვიოს ევროპას, ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში და რამდენიმე საჩვენებელი პარტია ითამაშოს.

უჩვეულო ნახტომი

როგორც დასავლეთგერმანული ყოველკვირეული „ილიუსტრირტე ვოხენცაიტუნგი“ იუწყება, შვეიცარიელმა ჟ. სტარკმა ავტომობილით სიგრძეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 43 მეტრი. ძველი მიღწევა 36 მეტრს უდრიდა.

უცხოეთის ფეხბურთის ასპარეზზე

ჩემპიონატები, მატჩები, ცხრილები

საფრანგეთი

ჩემპიონატის VI ტურში ლიონის „ოლიმპიკმა“ შინ მოუგო „ანჟერს“ — 3:1. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს — 1:0, მაგრამ ლიონელთა და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა კიეზამ სამი საპასუხო გოლი გაიტანა. „სენტ-ეტიენმა“ და ჩემპიონმა „ნანტმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1. ბორდოს „ჟირონდენმა“ შინ მოუგო „პარის“ — 6:1. სამი გოლი გაიტანა ბორდოელმა რიკომ. ნიმის „ოლიმპიკმა“ შეუპოვარ ბრძოლაში სძლია „მონაკოს“ — 4:3.

	თ.	ბ.	ქ.
„ოლიმპიკი“ (ლიონი)	6	14:8	11
„სენტ-ეტიენი“	6	12:7	11
„ოლიმპიკი“ (ნიმი)	6	12:9	10

ჰოლანდია

III ტურში „ნემეგენმა“ შინ 1 ქულა აართვა ჩემპიონს, ამსტერდამის „აიაქსს“ — 1:1. როტერდამის „ფეიენოორდმა“ შინ მოუგო „ჰაარლემს“ — 4:1. „ტვენტემ“ და „ეინდჰოვენმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1.

„ფეიენოორდი“	3	7:2	6
„უტრეხტი“	3	8:4	6
„აიაქსი“	3	11:2	5

შვეიცარია

ციურიხში შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები: „გრასჰოპერსი“ და „ციურიხი“. მეტოქეებმა ქულები გაინაწილეს — 1:1. ჩემპიონმა „ბაზელმა“ სტუმრად მოუგო „სიონს“ — 2:1.

„ციურიხი“	4	9:6	6
„ბაზელი“	4	7:4	6
„ნევშატელი“	4	9:4	5

არგენტინა

ლიდერმა ბუენოს-აირესის „ჰურაკანმა“ შინ ფრედ ითამაშა „როსარიოსთან“ — 1:1. „ნეველს ოლდ ბოისმა“ აჯობა „ბოკა ხუნიორსს“ — 2:0, „ველეს სარსფილდმა“ მოუგო „ინდეპენდიენტეს“ — 2:0, ხოლო „ოლ ბოისმა“ სძლია „რივერ პლეიტს“ — 3:1.

„ჰურაკანი“	26	58:25	41
„ბოკა ხუნიორსი“	26	60:31	35
„რივერ პლეიტი“	26	52:45	34

უნგრეთი

ლიდერმა ბუდაპეშტის „ჰონვედმა“ შინ მოუგო „დოჟა პეჩს“ — 3:0. ჩემპიონი — „დოჟა უიპეშტი“ დამარცხდა „ჩეპელთან“ — 1:2. „ფერენცვაროშმა“ მოუგო „ვაშაშს“ — 2:1.

„ჰონვედი“	3	11:1	6
მტკ (ბუდაპეშტი)	3	5:1	5
„დოჟა უიპეშტი“	3	9:6	4

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ არენებზე

ფეხბურთი. ასკ-ს სტადიონი. 15 სექტემბერი. საქართველოს პირველობა. ასკ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი). დასაწყისი 12 ს.

რეგბი. ასკ-ს სტადიონი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. 15 სექტემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „ფილი“ (მოსკოვი). 16 სექტემბერი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — მსი (მოსკოვი). შეხვედრების დასაწყისი 17 ს.

ველოსპორტი. საქართველოს სამხედრო გზის 30-ე კილომეტრი (ნატახტარში). სსრ კავშირის ჩემპიონატი. 15 სექტემბერი. ვაჟთა 50-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა და ქალთა 30 კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა. დასაწყისი 11 ს.

მძლეოსნური კროსი. კუსტბის მიდამოები. 16 სექტემბერი. საქართველოს პროფკავშირულ-კომკავშირული საშემოდგომო პირველობა. დასაწყისი 11 ს.

ველოსპორტი. ცენტრალური ველოსტადიონი. საქართველოს პირველობა. 16-18 სექტემბერი. პროგრამაშია: სპრინტერული რბოლები, გიტი 1000 მ, გუნდური და წყვილთა რბოლები. დასაწყისი 16 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 08491